



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

(სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ხათუნა ლოდია

წევრები:

ხათუნა ფაილაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ხატია კაჭარავა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნინო კაპანაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

თამთა კამკამიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ლამზირა აფაქიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ოლიკო კილაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

მზევინარ მჟავანაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

გიორგი ბერძულიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ვლადიმერ უშიკიშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	237101989

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ნასაკირალი
ფაქტობრივი მისამართი	დაბა ნასაკირალი
საფოსტო ინდექსი	3500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://rb.gy/ab4nxv
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	nasakirali@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577618452

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	N776039 01/07/2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 25 და 26 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ნასაკირალი, ცენტრი, შენობა-ნაგებობის რაოდენობა 1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ნასაკირალი, ცენტრი, შენობა-ნაგებობის რაოდენობა 1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ნასაკირალი, ცენტრი, შენობა-ნაგებობის რაოდენობა 1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი კონსტრუქციულად და მშვიდად წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. განხორციელდა სკოლის მატერიალური ინფრასტრუქტურის, რესურსების დათვალიერება, თანამშრომელთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტაციის შესწავლა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება. საგნობრივმა ექსპერტებმა მიიღეს მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.



დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა უზრუნველყო საფეხურზე შემავალი საგნების შეფასების რევიზია. შეისწავლა ქართული ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და მე და საზოგადოების საგნობრივი მიმართულების კურიკულუმები და საჭიროებისამებრ მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან, ერთდროულად წარმართეს ინტერვიუების პროცესი, იმოქმედეს შეთანხმებულად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ლონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 600	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ზედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავება შესრულების ვადა - 20.11.2024
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; შესრულების ვადა - 20.12.2024
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. შესრულების ვადა - 20.12.2024
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.3.1.2	სრულყოფილად არ არის იდენტიფიცირებული და აღწერილი სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, უზრუნველყოს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირება და აღწერა შესრულების ვადა: 27.09.2025



ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, უზრუნველყოს: • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმება შესრულების ვადა: 10.06.2025 • უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტურის მოპოვება შესრულების ვადა: 27.09.2025
ინდიკატორი N3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, უზრუნველყოს ექიმის კაბინეტის შირმით აღჭურვა შესრულების ვადა - 30.12.2024
ინდიკატორი N 3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, უზრუნველყოს წიგნადი ფონდის დამუშავება საბიბლიოთეკო სტანდარტის შესაბამისად. შესრულების ვადა - 30.12.2024



ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს ვებ გვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვა. შესრულები ვადა - 30.12.2024

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო და საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს: • საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში წყლის ონკანის მოწყობა • სამუშაო მაგიდა აღიჭურვის მქონე და ცეცხლგამძლე საფარით • ლაბორატორია აღიჭურვის სპეციალური გამწოვი სისტემით შესრულების ვადა: 18.09.2025

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	სასურველია, მოხდეს ღირებულებების ფორმულირება როგორც ძირითადი პრინციპებისა, რომლის გათვალისწინებითაც იმოქმედებს სკოლა.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	მიზანშეწონილია, სკოლაში დასაქმდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	მიზაშეწონილია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის თანახმად, სკოლაში დასაქმდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.
ინდიკატორი N3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	მიზაშეწონილია, გასწორდეს საქმისწარმოების წესში ტექნიკური ხარვეზი და საქმისწარმოება შესაბამისობაში მოვიდეს სკოლის მიერ დადგენილ წესთან
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.1.2.	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;	სასურველია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში დაკონკრეტდეს რას და როგორ გააკეთებს სკოლა, რომ მოახდინოს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება.
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკა-სასურველია, დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები ან/და საკითხების კლასტერი, ყველა პროექტი თუ კომპლექსური დავალება, გამოკვეთილი იყოს მათი განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმულაციები, ნახატები თუ ნახაზები, სოლო ტაქსონომიის განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვ. ესთეტიკური აღზრდა-სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასურველია გამოიკვეთოს თემატური ბლოკები რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სავალდებულოა, თემები კი სარეკომენდაციო ხასიათისაა. ასევე სასურველია გამოიკვეთოს და უფრო მეტად სტრუქტურურებულად ჩამოყალიბდეს თემის ფარგლებში დასამუშავებელი სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის იდეა. საზოგადოებრივი მეცნიერებები-სასურველია: მე და საზოგადოების კურიკულუმების გათავისუფლება უფუნქციო გრაფებისაგან; კურიკულუმში დავლების იდეების და საკითხზე მორგებული კონტექსტ-მაგალითების /ამბების



		შერჩევა-შეტანა; მაგალითად, მესამე კლასის კურიკულუმში შუალედური/კომპლექსური ტიპის დავალების იდეა საერთოდ არ არის მაშინ, როდესაც მტკიცებულებად წარმოდგენილია განხორციელებული დავალების მატრიცა და სასურველია, მისი იდეა კურიკულუმშიც აისახოს. მე-4 კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმში მიზანშეწონილია კომპლექსური ტიპის დავალების იდეის სვეტის დამატება. სასურველია, იგივე მიმართულებით განვითარდეს ჩვენი საქართველოს კურიკულუმები. ჩვენი საქართველოს მე-6 კლასის კურიკულუმის პირველივე თემის (კახეთი) პირველ საკითხში, კონტექსტმაგალითის გრაფაში მოცემულია საკვანძო კითხვა, ეს კითხვა სასურველია გადაკონვერტირდეს დავალების იდეად შესაქმნელი პროდუქტის დამატებით. კონკრეტული კლასის (პარალელურის) და კონკრეტული მასწავლებლის მითითებას კურიკულუმში არ საჭიროებს, რადგან ეს სკოლის კურიკულუმია მოცემული საგანში.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა-სასურველია დაწყებითი კლასების მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები მათი შინაარსიდან გამომდინარე თანაბრად იყოს განაწილებული დროში, ანუ კომპლექსურ დავალებათა შორის დროითი შუალედები იყოს დაახლოებით ერთნაირი. სასურველია ყველა კომპლექსური დავალება, რომლის განხილვასაც მასწავლებელი აპირებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, მასწავლებელმა არ დაგეგმოს ერთ სემესტრში. სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში დაგეგმილი იყოს კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში, რაც მოსწავლეებში განამტკიცებს პირველ რიგში საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება ცხოვრებისეული საკითხების გადაწყვეტაში, აყალიბებს მათში კვლევით უნარებს. ესთეტიკური აღზრდა-სასურველია კურიკულუმში, ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით (თავი 1, მუხლი 5.) გაწერილი იყოს, თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლეებმა, რითაც წარმოიჩინდება მისი ცოდნა საკითხთან მიმართებით და წარმოადგენს შუალედურ მიზანს საფეხურის შედეგებთან მიმართებით. ამ კუთხით სასურველია გადაიხედოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მე-2 და მე-3 კლასის კურიკულუმში. საზოგადოებრივი მეცნიერებები - მტკიცებულებებში წარმოდგენილ (ორივე საგნის ოთხივე კლასის) კურიკულუმში მითითებულია საგნისთვის დათმობილი სემესტრებისა და საათების რაოდენობა, რაც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. მაგრამ სკოლის დოკუმენტში (დაბა ნასაკირალი - სასკოლო სასწავლო გეგმა) მოცემული საათობრივი ბაღე აჩენს კითხვებს და სასურველია, ეს დოკუმენტები შესაბამისობაში იყოს ერთმანეთთან. სასურველია, მე და საზოგადოების კურიკულუმში გამოიკვეთოს საკითხთა ჯგუფები/კლასტერები, რომელთა



		დამუშავებისთვის საჭირო საათები გადანაწილდება შედეგზე ორიენტირებულად. სასურველია საკითხებისთვის გათვალისწინებული საათები დაფიქსირდეს კურიკულუმსა თუ კომპლექსური ტიპის დავალების სხვა (მატრიცა, ბარათი, გეგმა...) აღწერილობებში;
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - შუალედური/ კომპლექსური დავალების პირობებში სასურველია გამოიკვეთოს განსხვავებული შესაძლებლობების მოსწავლეთათვის მხარდამჭერი ალტერნატიული შეთავაზებები, რაც სკოლას აღიარებული აქვს დოკუმენტების დონეზე, სასურველია ეს მიდგომა პრაქტიკის დონეზეც აისახოს საგნობრივ კურიკულუმებში.
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	მათემატიკა - სასურველია დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებს დართული ქონდეს კომპლექსური დავალებების შეფასების ინსტრუმენტები, რადგან საიტებზე განთავსებულ კომპლექსურ დავალებების უმრავლესობას არ ახლავს შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებლებს მეტი ყურადღების გამოჩენა მართებთ კომპლექსური დავალებების შერჩევის და შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში. სასურველია გადაამოწმონ მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები არის თუ არა სრულ შესაბამისობაში მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, რამდენად მორგებულია პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებთან. ესთეტიკური აღზრდა - განმსაზღვრელი შეფასება სასურველია აღწერდეს მოსწავლის მიღწევებს ცნებებთან, ქვეცნებებთან, შესასწავლ თემასთან და დასამუშავებელ საკითხთან მიმართებაში. შესაბამისად, სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების გაწერის დროს მიზანშეწონილია რომ ორიენტირი იყოს სამიზნე ცნებები, თავისი ქულობრივი შეფასებით. უცხოური ენები - სასურველია შეფასების რუბრიკები ზუსტად მიემართებოდნენ ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს/ რუბრიკის კრიტერიუმები ეყრდნობოდეს ამა თუ იმ უცხოური ენის სტანდარტის შეფასების ინდიკატორებს. სპორტი - სასურველია სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაოთ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად
ინდიკატორი N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები ძირითადად მოკლევადიან, კონკრეტულ მიზნებს (აქტივობების შეფასებას) უკავშირდება. სასურველია, მომზადდეს გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე) ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტები. აქვე



		გასათვალისწინებელია პირველი ინდიკატორის რჩევაში მითითებული კურიკულუმისგან აცდენები.
ინდიკატორი N2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	მათემატიკა - სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მათემატიკური ტერმინების გამოყენებას. გამოიყენებული იქნეს საყოველთაოდ აღიარებული მათემატიკური ტერმინები. საზოგადოებრივი მეცნიერებები - გრიფირებული სახელმძღვანელოები წარმოდგენილია ერთადერთ რესურსად. დამხმარე რესურსი კურიკულუმებში მხოლოდ ერთ შემთხვევაშია (მე და საზოგადოება , მე-3 კლასი, მესამე თემა) ნახსენები, სასურველია კურიკულუმში ამ მიმართებითაც განვითარდეს.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკა - სასურველია საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები ან/და საკითხების კლასტერი, ყველა პროექტი, კომპლექსური დავალება, სასურველია გამოიკვეთოს გამოკვეთილი უნდა იყოს მათი განხორციელებისთვის საჭირო აუცილებელი დანართებით, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალით, სიმულაციებით, ნახატებით, ნახაზებით, სოლო ტაქსონომიის შეფასებებით და სხვ. სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურის მე-7, მე-8, მე-9 კლასის კურიკულუმებს სასურველია დაემატოს ცნებათა სვეტი და შემოქმედებითი პროდუქტის მითითებისას ჩანდეს რომელ ცნებებს მიემართება. ასევე სასურველია ამავე კლასების კურიკულუმს დაემატოს რესურსების სვეტიც, რომელშიც შეძლებთ გაწეროთ, რა რესურსებს იყენებთ დამატებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო სახელმძღვანელოს შემთხვევაში დაასახელებთ სახელმძღვანელოს, რომლითაც ასწავლით ამ კლასებში და თითოეულ ნაწარმოებზე მიუთითებთ კონკრეტულ გვერდებს . საკითხებისა და ქვეცნებების სვეტში გირჩევთ დაიწეროს შემოქმედებითი პროდუქტი რა საკითხს ეხება და რა ქვეცნებებს მიემართება, ხოლო სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები ძირითად და დამატებით მასალად დახარისხებული ჩაწეროთ სვეტში- „ტექსტები, კონტექსტმაგალითები“, ეს სვეტიც კარგი იქნება დაემატოს. აქვე ჩაწეროთ ის მასალებს, რომლებიც დამატებთ გამოიყენებინან ძირითადი მასალის დამუშავებისას. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია კურიკულუმების მოწესრიგება. მაგალითად, გეოგრაფიის მე-8 კლასის კურიკულუმში მეორე თემა სრულად და ჩარჩოსთან შესაბამისად გაიშალოს; დასახელდეს საკითხები ასევე, სასურველია მე-9 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში სრულად აღიწეროს დავალების იდეა;



		ისტორიის მე-7 და მე-8 კლასის კურიკულუმების შესაბამისად სასურველია, სტრუქტურულად მოწესრიგდეს მე-9 კლასის კურიკულუმი. ბუნებისმეტყველება-სასურველია: • 1-ლი კლასის საგნობრივ კურიკულუმში დამატოს შუალედური მიზნებისთვის და მათთვის განკუთვნილი შესაბამისი გრაფა • 1-ლი კლასის კურიკულუმში, თემებში გამოიყოს ერთზე მეტი საკითხი, რათა არ დიკარგოს თემაში ძირითადი საკითხების გამოყოფის აუცილებლობის მნიშვნელობა (ერთი საკითხის გამოყოფის შემთხვევაში თემა და საკითხი ტოლფასი გამოდის). • ძირითად საკითხებში გამოიყოს ლოგიკური ოდენობის ქვესაკითხები, რომლებიც მიმართული იქნება ძირითადი საკითხის ფარგლებში მისაღწევ შედეგებზე (სამიზნე ცნებებზე), რაც მოსწავლეებს დაეხმარებათ მიზნებზე მიმართულად, ძირითადი საკითხების დაუფლებაში.
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა - სასურველია საბაზო საფეხურზე მეტი ყურადღება დაეთმოს კვლევით პროექტების ჩართვას სასწავლო პროცესში. საგანთაშორისი კავშირების შემცველი კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნები სწავლა/სწავლების პროცესში მოსწავლეებში განამტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება ცხოვრებისეული საკითხების გადაწყვეტაში, აყალიბებს მათში კვლევი თ უნარებს. საზოგადოებრივი მეცნიერებები - მტკიცებულებებში წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებულია საგნისთვის დათმობილი სემესტრებისა და საათების რაოდენობა, რაც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. მაგრამ სკოლის დოკუმენტში (დაბა ნასაკირალი - სასკოლო სასწავლო გეგმა) მოცემულ საათობრივ ბადეში სასურველია საგნის სახელწოდება სამოქალაქო განათლება შეიცვალოს მოქალაქეობით და საათების ოდენობაც შეესაბამოს კურიკულუმის ჩანაწერებს. სასურველია, ეს დოკუმენტები შესაბამისობაში იყოს ერთმანეთთან; ესთეტიკური აღზრდა - სასურველია კურიკულუმის შედგენისას ყურადღება მიექცეს, შესასწავლი საკითხების რეალური რაოდენობის შერჩევას, რადგან სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი ბადის მიხედვით სკოლაში მე-8, მე-9 კლასებში მუსიკას ეთმობა ერთი კვირეული საათი, შესაბამისად, თემის ფარგლებში, შედეგების მისაღწევად, კურიკულუმში მითითებული ყველა საკითხის გავლა შესაძლებელია ვერ მოხერხდეს.
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით	მათემატიკა - სასურველია საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ კომპლექსური დავალებების შერჩევის და შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში. გადაამოწმონ მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული



	გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	მასალები შეესაბამება თუ არა მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს, მორგებულია თუ არა პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებს და სხვ. ესთეტიკური აღზრდა - სასწავლო სასკოლო გეგმაში მეშვიდე კლასში მუსიკის საგანში დამტკიცებულია გამომცემლობა წყაროსთვალის სახელმძღვანელო, ხოლო კურიკულუმში მითითებულია გამომცემლობა ინტელექტი. სასწავლო წლის დაწყებამდე სასურველია გადამოწმდეს და დაზუსტდეს მონაცემები.
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია: შეფასების ყველა ინსტრუმენტი ეფუძნებოდეს შეფასების პრინციპებს, კრიტერიუმები იყოს გასაგები, მიზანზე ორიენტირებული, უკუკავშირი - კონკრეტული, რაც მოსწავლეს შედეგის გაუმჯობესებაში დაეხმარება. ესთეტიკური აღზრდა - სასურველია გაითვალისწინოთ, რომ განმსაზღვრელი შეფასება აღწერდეს მოსწავლის მიღწევებს ცნებებთან, ქვეცნებებთან, შესასწავლ თემასთან და დასამუშავებელ საკითხთან მიმართებაში. შესაბამისად, შეფასების რუბრიკების გაწერის დროს გაითვალისწინეთ რომ ორიენტირი იყოს სამიზნე ცნებები, თავისი ქულობრივი შეფასებით. უცხოური ენები - სასურველია შეფასების რუბრიკები ზუსტად მიემართებოდნენ ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს/ რუბრიკის კრიტერიუმები ეყრდნობოდეს ამა თუ იმ უცხოური ენის სტანდარტის შეფასების ინდიკატორებს. სპორტი - სასურველია, შეფასების რუბრიკები შეიმუშაოთ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია, კურიკულუმის განვითარების ეტაპზე მოხდეს მისი გადახედვა. მაგალითად მე-7 კლასის ისტორიის კურიკულუმის მესამე თემაში სასურველია, ასახული იყოს კომპლექსური დავალების იდეა, რომლის განხორციელებასაც მეორე მტკიცებულება - 7 კლ.კომპ.დავალება ასაბუთებს.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.1.2.	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	სასურველია კურიკულუმის შემუშავებაში ჩაერთოს საშუალო საფეხურის მოსწავლეები და გათვალისწინებულ იქნას მათი ინტერესები.



ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკა - სასურველია საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები ან/და საკითხების კლასტერი, ყველა პროექტი, კომპლექსური დავალება, გამოკვეთილი იყოს მათი განხორციელებისთვის საჭირო აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმულაციები, ნახატები თუ ნახაზები, სოლო ტაქსონომიის შეფასებები და სხვ. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია, ყველა კურიკულუმში გადაიხედოს იმ მიდგომების გათვალისწინებით, რომელიც კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გაქცთ გაწერილი. კურიკულუმები მინიმალისტურად არის შევსებული და ზოგიერთი კომპონენტი (დავალების იდეა, კონტესტმაგალითები, მაგალითები შედარებისთვის) ნაკლებად არის წარმოდგენილი. მე-11 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელო) სხვა სვეტშია წარმოდგენილი. სასურველია, თქვენივე გამოცდილების გათვალისწინებით მოხდეს კურიკულუმების შევსება/ განვითარება. ესთეტიკური აღზრდა - სასურველია მუსიკის საგანში, პროექტული სწავლების კურიკულუმის შედგენისას, გამოიკვეთოს დასამუშავებელი სამიზნე ცნებები.
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა - სასურველია საშუალო საფეხურზე მეტი ყურადღება დაეთმოს კვლევითი საგანთაშორისი კავშირების შემცველი პროექტების ჩართვას არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში, რაც მოსწავლეებში განამტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება ცხოვრებისეული საკითხების გადაწყვეტაში, აყალიბებს მათში კვლევით უნარებს. საზოგადოებრივი მეცნიერებები -წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული საგნისთვის დათმობილი სემესტრებისა და საათების რაოდენობა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სასურველია სასკოლო სასწავლო გეგმაში , კერძოდ საათობრივ ბადეშიც, იგივე მონაცემები აისახოს
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	მათემატიკა - სასურველია საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ კომპლექსური დავალებების შერჩევის და შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში, გადაამოწმონ მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები შეესაბამება თუ არა მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს, რამდენად შეესაბამება პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებთან.



ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სპორტი - სასურველია სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაოთ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია, შეფასების ინსტრუმენტები მეტად დაუახლოვდეს ესგ-ს შეფასების პრინციპებს, განსაკუთრებით ვალიდურობის თვალსაზრისით და აიგოს გრძელვადიან მიზნებსა და კონტექსტებზე მორგებულად. უცხოური ენები - სასურველია შეფასების რუბრიკები ზუსტად მიემართებოდნენ ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს/ რუბრიკის კრიტერიუმები ეყრდნობოდეს ამა თუ იმ უცხოური ენის სტანდარტის შეფასების ინდიკატორებს. ესთეტიკური აღზრდა - სასურველია, მუსიკაში პროექტული სწავლების განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნის დროს გათვალისწინებული იყოს კონტექსტი და ინდიკატორები მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნებისაკენ.
ინდიკატორი N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - საქართველოს ისტორიის მე-10 კლასის კურიკულუმის პირველ თემაში სასურველია აისახოს წარმოდგენილ მტკიცებულებაში _10 კლასის კომპლექსური საქართველოს ისტორია- მოცემული კომპლექსური დავალების იდეა.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ:

N1.2.1.2, N1.2.1.3, N1.2.1.4, N3.3.1.2, N3.4.1.1, N3.4.1.2, N3.5.1.3, N3.6.3.5 და N2.1.2.3 (საბაზო და საშუალო საფეხური) ინდიკატორები, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;

N3.1.1.1, N3.1.2.3, N4.1.2.1, N2.1.2.1, N2.1.2.2 (დაწყებითი საფეხური), 2.1.2.1, N2.1.2.2, N2.1.2.4, N2.1.2.5, N2.2.1.1, N2.2.1.3, N2.2.2.1, N2.2.2.2 (საშუალო საფეხური) ინდიკატორები, შესაბამისობის გეგმის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, უკვე შესრულებული იყო და ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიის თანახმად, სკოლა დაეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს წარმატების მიღწევაში, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებს განუვითარდეს/გაუძლიერდეს დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება, სამოქალაქო და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა. ხედვის თანახმად, სკოლა სწავლაზე ორიენტირებული საზოგადოებაა და შედგება სწავლაზე ორიენტირებული და მოტივირებული, განათლებული მასწავლებლებისაგან, რომლებიც მოსწავლეებთან ერთად აშენებენ ცოდნას. სკოლა ამაყობს რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მისიის თანახმად, სკოლა დაეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს წარმატების მიღწევაში, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებს განუვითარდეს/გაუძლიერდეს დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება, სამოქალაქო და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა. ხედვის თანახმად, სკოლა სწავლაზე ორიენტირებული საზოგადოებაა და შედგება სწავლაზე ორიენტირებული და მოტივირებული, განათლებული მასწავლებლებისაგან, რომლებიც მოსწავლეებთან ერთად აშენებენ ცოდნას. სკოლა ამაყობს რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნებით. სკოლაში ყველა იღებს პასუხისმგებლობას ერთმანეთის წარმატებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ.

სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზიას.

სკოლის მიერ განსაზღვრული ღირებულებები *(ეს არის საზოგადოებისთვის სასარგებლო სკოლა; ამ სკოლაში ყველას უნდა და შეუძლია სწავლა, ყველას აქვს პოტენციალი; ამ სკოლაში ყველას შეუძლია საკუთარი და სხვათა ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა)* უფრო ხედვის გაგრძელებაა და არის წარმოდგენა როგორი არის ან უნდა იყოს სკოლა, თუმცა ნათლად ჩანს, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია თანადგომის, გუნდურობის და ნდობის პრინციპები.

სასურველია მოხდეს ღირებულებების ფორმულირება როგორც ძირითადი პრინციპებისა, რომლის გათვალისწინებითაც იმოქმედებს სკოლა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, შემუშავდა 2020 წელს. ამავე წელს, ისევე როგორც მომდევნო წლებში, მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, განიხილა და შეიტანხმა სამეურვეო საბჭომ და დაამტკიცა პედაგოგიურმა საბჭომ. სკოლის მიერ უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმის ხელმისაწვდომობა და საჯაროობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდზე, სკოლის შენობაში განთავსებულია საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 29 მაისის N54 ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისად სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც ხელს უწყობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნას, პროცესში ჩართული/დაინტერესებული პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვას და მისცემს მათ სკოლის განვითარებაზე საკუთარი ხედვის გამოხატვის საშუალებას.

მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნა, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, რომელიც კვლევისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით, უზრუნველყოფს საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. გეგმაში გაწერილია მხოლოდ 2020-2021 წლის აქტივობები. სკოლის დირექტორის 2024 წლის 29 მაისის N54 ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნა, რომელშიც შედგება სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან და კვლევისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით, უზრუნველყოფს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის შემუშავებას. პროექტს განხილვის მიზნით წარუდგენს საზოგადოებას. დაგეგმვის ჯგუფის მიერ საბოლოოდ მოწონებულ სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო.

სკოლის დირექტორის 2024 წლის 29 მაისის N55 ბრძანებით, სკოლაში შექმნილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების შეიდწლიანი გეგმის შემუშავებას.

შესრულების ვადა - 20.11.2024

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

3. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, არ იკვეთება, რომ ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

შესრულების ვადა - 20.12.2024

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

4. სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელშიც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

შესრულების ვადა - 20.12.2024

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია
- 6 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

- სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- სკოლის დირექტორის 2024 წლის 29 მაისის N54 ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისად, სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს წლის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ, ხოლო სტრატეგიული გეგმის - ერთხელ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

- სკოლის პირველადი ავტორიზაციაა, ინდიკატორი მიმდინარე ეტაპზე არ ფასდება.
- სკოლის პირველადი ავტორიზაციაა, ინდიკატორი მიმდინარე ეტაპზე არ ფასდება.
- სკოლის პირველადი ავტორიზაციაა, ინდიკატორი მიმდინარე ეტაპზე არ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☐ შეესაბამება
 - ☒ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმართველობა. სკოლამ წარმოადგინა წესდების პროექტი, რომლითაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. (ვიზიტის დროს, სკოლამ არ წამოადგინა წესდების დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი). სკოლის დირექტორის 2024 წლის 26 ივლისის N124 ბრძანებით, დამტკიცებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები და კონკრეტული თანამდებობების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობები მკაფიოდაა განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებებით.

სკოლამ, შესაბამისობის გეგმასთან ერთად, წარმოადგინა მტკიცებულება (სკოლის დირექტორის 2024 წლის 09 სექტემბრის N141 ბრძანება - „სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების თაობაზე“) რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა საშტატო განრიგი და განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების შესაბამისი სამუშაო აღწერილობები, შრომითი ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდაა აღწერილი დასაქმებული პირების ფუნქციები. დასაქმებულები აცნობიერებენ საკუთარ სამსახურეობრივ პასუხისმგებლობას, ანგარიშვალდებულების სისტემა საშუალებას აძლევს დირექციას მიიღოს ინფორმაცია პერსონალის საქმიანობაზე და უზრუნველყოს პროცესების მართვა. პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წლის 26 ივლისის N124 ბრძანება
- საშტატო განრიგი
- სკოლის წესდება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2021 წლის 10 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის N6 ოქმით დამტკიცებულია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის თანახმად, პოლიტიკის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება; თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვა და წარმართვა, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას,

როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. სკოლის მიზნების მიღწევისთვის პროცესის მუდმივი მონიტორინგი, განხორციელებული აქტივობების და მათთან დაკავშირებული შედეგების შეფასება და ანალიზი.

სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შვებულების მიცემის წესი. სკოლის შინაგანაწესი საჯაროა და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია დამსაქმებლის და დასაქმებულის პასუხისმგებლობები და მოვალეობები.

სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და შემუშავებულია მისი დებულება. დებულების თანახმად, ჯგუფის ერთ-ერთი ფუნქციაა მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. საჭიროებების შესაბამისად, შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები - თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, ტრენინგების ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება, მასწავლებელთა შორის გამოცდილების გაზიარება.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები:

- რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს?
- რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე?

საჭიროებების მიხედვით ხდება სკოლის ახალი კადრებით უზრუნველყოფა, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა საჭიროების მიხედვით აცხადებს კონკურს კადრების შერჩევის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შემუშავებული აქვს ვაკანტური საათების შევასებად კონკურსის ჩატარების წესი, რომლის თანახმად, კონკურსის მიზნია ვაკანტური საათების მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისი კანდიდატის შერჩევა. კერძოდ, კანდიდატის კვალიფიკაციის, ცოდნის, პროფესიული უნარ-ჩვევების, პიროვნული თვისებების შეფასება და ვაკანტური საათების დასაკავებლად დადგენილი სხვა სავალდებულო მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა. წესის შესაბამისად, უზრუნველყოფილია კონკურსის შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა.

სკოლაში დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში ვიზიტის დროს არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები (ცნობა ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა).

მასწავლებელთა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები არ არის დამოწმებული ნოტარიულად, რასაც მოითხოვს სკოლის შინაგანაწესი.

ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში დაფინანსების წყაროდ მითითებულია ეკონომიური შემოსავალი, ნაცვლად სკოლის ბიუჯეტისა, რომელითაც არის უზრუნველყოფილი დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება.

სკოლამ, შესაბამისობის გეგმასთან ერთად, წარმოადგინა მტკიცებულება (სკოლაში დასაქმებულ პირთა კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები; განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებული ასლები; დაზუსტებული შრომითი ხელშეკრულებები) რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. როგორც ავღნიშნეთ, სკოლის დირექტორის 2024 წლის 26 ივლისის N124 ბრძანებით, დამტკიცებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები და კონკრეტული თანამდებობების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლაში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ გადაწყვეტილებები სკოლაში მიიღება სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. სკოლაში არის კოლეგიური სტრუქტურული ერთეული პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, რომელთა მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის შინაგანაწესის 22-ე და 23-ე მუხლის შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს წარმატებული გამოცდილების აღიარების მექანიზმი. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შეესრულებისთვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, სკოლა დასაქმებულთა მიმართ გამოიყენებს წახალისების ფორმებს:

- ა) მაღლობის გამოცხადება;
- ბ) სიგელით დაჯილდოება;
- გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
- ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

კათედრა უზრუნველყოფს კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრას და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფისა დებულება
- კონკურსის ჩატარების წესი

- 2024 წლის 26 ივლისის N124 ბრძანება
- შინაგანაწესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვას, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლა

თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები:

- რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს?
- რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე?

სკოლაში შემქნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. კათედრებზე ხდება ურთიერთდაწრების შედეგების განხილვა და ანალიზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ვინაიდან სკოლის პირველადი ავტორიზაციაა, ინდიკატორი მიმდინარე ეტაპზე არ ფასდება.

3. როგორც აღვნიშნეთ, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება.

2023 წელს სტატუსი აიმაღლა სკოლის ორმა პედაგოგმა (ფიზიკის პედაგოგს მიენიჭა წამყვანი, ხოლო სპორტის პედაგოგს - უფროსი მასწავლებლის სტატუსი)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. 2024 წლის 18 ივლისის N117 ბრძანებით, სკოლაში განსაზღვრული პერსონალის სოციალიზაციის პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტით გაწერილია აქტივობები, რომლებიც სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციას შეუწყობს ხელს. ადაპტაციის პროცესში ჩართულია დირექციის, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პედაგოგები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ახალი თანამშრომლის წარმატებული ინტეგრირება სასკოლო საზოგადოებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა აქტიურია არაფორმალური განათლების მიმართულებით, სკოლის პედაგოგთა ხელმძღვანელობით, ფუნქციონირებს რამდენიმე კლუმი - სტემ კლუბი, მეწარმეთა კლუბი „დამწყები მეწარმეები“, მოგზაურთა კლუბი „თრეველი“, კითხვის კლუბი „მწიგნობარი“, უცხოური ენები კლუბი „მომავალი ლინგვისტები“, ეკო კლუბი „დედამიწა ჩვენი სახლია“, მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით და სკოლის მხარდაჭერით, წარმატებულად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი.

ბოლო წლების განმავლობაში, საჭიროების შესაბამისად, ტრენინგი გაიარეს სკოლის ბუღალტერმა, მასწავლებლებმა, სპეც მასწავლებლებმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *2024 წლის 18 ივლისის N117 ბრძანება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით - პერსონალის შერჩევის და შეფასების ვალიდური და გამჭვირვალე კრიტერიუმის შემუშავება და დანერგვა, მატერიალური რესურსების შეფასების პროცესებისა და წესების შემუშავება, სკოლის საქმიანობის უწყვეტი შეფასება და მისი განვითარება, ასევე სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულებაზე მონიტორინგი, ბიუჯეტირების პროცესის მონიტორინგის შეფასება და მისი გაუმჯობესება, სასწავლო გეგმის შეფასება, სკოლის თანამშრომლეთა საქმიანობის გამჭვირვალე შეფასების სისტემის შემუშავება, მოსწავლეთა მხარდამჭერი სერვისების და რესურსების სხვადასხვა სახით შემუშავება და დანერგვა, კონტიგენტის მოზიდვის პროცედურების შემუშავება, მასწავლებელთა პროფესიულის საქმიანობის შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას სრულყოფილად არ აქვს აღწერილი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი პროცესები - სტანდარტის შესაბამისად არ აქვს შემუშავებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი (2020-2026) გეგმა, რომელშიც გაწერილია აქტივობები მხოლოდ 2020-2021 წლებისთვის. შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, წარმოადგინა

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. მოქმედ შინაგანაწესში გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები.

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, ბიბლიოთეკის დებულება, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირებას და აღწერას.

შესრულების ვადა - 27.09.2025

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 ივლისის N120 ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმს. დოკუმენტში გაწერილია მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმი, სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები, სკოლის პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმი.

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლის/მასწავლებლის დისციპლინური გადაცდომისა და სახდელების სახეები, სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება მშობლისა და მოსწავლეების უფლებები და ვალდებულებები. შინაგანაწესის თანახმად, სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები მოიცავს გასაჩივრების პუნქტს. სკოლაში მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან დაკომპლექტებულია დისციპლინური კომიტეტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. თითოეული კლასის დამრიგებელი, სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის, მანდატურის, სახალხო დამცველის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლის ყველა მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის ფორმდება ხელშეკრულებები. საჭიროების შემთხვევაში იგეგმება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები.



სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის, მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმს. დოკუმენტში გაწერილია მოსწავლის და მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლებები, მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმი, სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები, სკოლის პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია
3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
4. ბიბლიოთეკის დებულება
5. სკოლის ვიზუალური დათვალიერება
6. სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 ივლისის N120 ბრძანება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომლის თანახმად, საზოგადოებასთან ურთიერთობა ემყარება გამჭვირვალობის, სამართლიანობის და საჯაროობის პრინციპებს. ნებისმიერი

დაინტერესებული პირისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს ამ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი,

სკოლას აქვს ვებ გვერდი და გვერდი სოციალურ ქსელში. განსაზღვრულია ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ეტალონი-განათლებასთან“, რომლის თანახმად შპს ვალდებულია გააშუქოს სკოლის სიახელები, მათ შორის ინფორმაცია სწავლების (დასწრებითი, დისტანციური ან/და ჰიბრიდული მოდელით), ღონისძიებების, შეხვედრების, კონფერენციების, სასკოლო საზოგადოების მიღწევებისა და წარმატებების შესახებ.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის თანახმად, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით მიღებული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი.

სკოლამ წარმოადგინა გამოკითხვის ინსტრუმენტი (კითხვარი), რომლის საშუალებითაც მოხდა მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვა სკოლაში მიმდინარე პროცესების თაობაზე.

სკოლამ ასევე წარმოადგინა მშობელთა კრების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ მშობლების თანხმობით ხდება გადაწყვეტილებების მიღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საგაკვეთილო პროცესის ხანგრძლივობა, სკოლაში ვიზიტის დღის განსაზღვრა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში ფუნქციონირებს სამურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, რომლებიც შედგება თანაბარი რაოდენობის მშობლებისა და პედაგოგებისგან, მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამურვეო საბჭოში, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც სხვა წევრებთან ერთად წარმოდგენილია მოსწავლე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N126 საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში
- სკოლის ვებ გვერდი
- მშობელთა კრების ოქმი
- კითხვარები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სკოლა ვალდებულია შექმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო-პირობები. შეასრულოს შრომის უსაფრთხოების დაცვის წესები. სკოლა უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. სკოლის ტერიტორიის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას უსაფრთხოებას უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებელი და მანდატურები. სკოლა აღჭურვილია შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით.

2024 წლის 07 ივნისს, სკოლამ მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებისთვის დახმარების თაობაზე.

ადრესატმა დაადასტურა შეტყობინების მიღება, თუმცა ამ ეტაპისთვის ვიზიტი სკოლაში არ განხორციელებულა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს:

- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებას და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებას.

შესრულების ვადა: 10.06.2025

- შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენას.

შესრულების ვადა: 27.09.2025

სკოლას მიეცა რჩევა:

სკოლაში დასაქმდეს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

2. სკოლაში დასაქმებულია ექიმი. სკოლის დირექტორის 2024 წლის 18 ივლისის N115 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლაში სამედიცინო პერსონალის საქმიანობის დებულება, რომლის თანახმად, ექიმი ვალდებულია მოახდინოს დაუყოვნებელი რეაგირება მოსწავლის ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე. ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით განთვალისწინებულ მოთხოვნებს. ექიმის კაბინეტი არ არის აღჭურვილი შირმით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს ექიმის კაბინეტის აღჭურვას შირმით.

შესრულების ვადა - 30.12.2024

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

3. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სკოლაში რეგულირდება უცხო პირთა შესვლა. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მანდატურებთან ერთად, უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. სკოლას აქვს საგაკვეთილო პროცესის დროს სართულების მიხედვით შემუშავებული პედაგოგთა მორიგეობის განრიგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 ივლისის N118 ბრძანებით, დამტკიცებულია „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“, რომელიც განსაზღვრავს პრობლემის იდენტიფიცირების, საჭიროებების დადგენის და მოსწავლისთვის დახმარების აღმოჩენის მექანიზმს. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.

სკოლა აქტიურია არაფორმალური განათლების მიმართულებით. ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი. მოსწავლეებს ეძლევათ თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. ხორციელდება პროექტები მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით, აღნიშნული ხელს უწყობს სასკოლო გარემოში ემოციურ და სოციალური თვითდამკვიდრებას, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლას ჰყავს 6 დამლაგებელი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სკოლაში სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. სკოლის ექიმი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორსაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. დირექტორის 2024 წლის 25 ივლისის N119 ბრძანების საფუძველზე, სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული წესის თანახმად, სკოლა ინახავს მხოლოდ იმ მონაცემებს, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების კონკრეტული, კანონიერი მიზნის მისაღწევად და მონაცემთა შენახვის ვადებისა და წესის განსაზღვრისას ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპებს. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში, არქივდება და ინახება სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. ოთახი იკეტება გასაღებით, რომელიც ინახება დირექტორთან. დაარქივებულ დოკუმენტებზე წვდომა შესაძლებელია დირექტორის ნებართვით, შესაბამისი წერილობითი საფუძვლის არსებობისას.

რჩევა: მიზაშეწონილია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის თანახმად, სკოლაში დასაქმდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი, რომლის თანახმად, სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და რთული პაროლის საშუალებით. აკრძალულია მომხმარებლის სახელისა და პაროლის ვინმესთვის გამჟღავნება/სარგებლობაში გადაცემა. სკოლის თანამშრომლები ინფორმირებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ.

დირექტორის ბრძანებით, სკოლაში განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იმუშავებს რეკომენდაციებს, გეგმავს პრევენციულ ღონისძიებებს. სკოლის დირექტორის განცხადებით, იგეგმება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების შეფასება მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წლის 18 ივლისის N115 ბრძანება
- დირექტორის 2024 წლის 25 ივლისის N119 ბრძანება
- დირექტორის 2024 წლის 25 ივლისის N118 ბრძანება
- სკოლის საშტატო განრიგი
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 6228.00 კვ. მ. მიწის ფართობზე განთავსებულია სკოლის შენობა და დამხარე ნაგებობები. აღნიშნული ფართი სკოლას, უვადო სარგებლობის უფლებით, გადაცემული აქვს ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსაგან. სკოლის შენობა ექსპლუატაციაში შევიდა 2021 წელს და სრულად არის გარემონტებული; არის 3 სართულიანი და მოიცავს 24 საკლასო ოთახს, სპორტულ დარბაზს, დირექციისათვის განკუთვნილ ოთახებს, სამასწავლებლოს, კვების ბლოკს, რესურსოთახს, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას. სკოლაში არის 50 კომპიუტერი, 5 პროექტორი, 7 პრინტერი. სკოლის

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. ყველა საკლასო ოთახში არის მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისი მოსწავლის მერხი და სკამი, ასევე მასწავლებლის მაგიდა და სკამი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. დირექტორის 2024 წლის 18 ივლისის N116 ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ლაბორატორიები, სკოლის ბიბლიოთეკა, სხვა მატერიალურ რესურსები თანაბრად არის ხელმისაწვდომი სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომლის თანახმად ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია როგორც გრიფინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი წიგნადი ფონდი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო სტანდარტის შესაბამისად.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად უზრუნველყოფს წიგნადი ფონდის დამუშავებას საბიბლიოთეკო სტანდარტის შესაბამისად.

შესრულების ვადა - 30.12.2024

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

4. თითოეული მოსწავლე სკოლის მიერ უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით - გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი, სასწავლო წიგნები. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ხელმისაწვდომობა მატერიალურ რესურსებზე. სკოლის შენობაში ფუნქციონირებს ლაბორატორიები. შენობა სრულად არის ადაპტირებული.

სკოლაში არის ლიფტი, ადაპტირებული სველი წერტილები, რესურსთაში. არის დახურული სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სპორტული, კულტურული, სოციალური და შემეცნებითი აქტივობები. ამ მიზნით სკოლას გააჩნია სააქტო დარბაზი, ღია და დახურული სპორტული მოედნები, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სკოლის ეზო და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წლის 18 ივლისის N116 ბრძანება
- ბიბლიოთეკის დებულება
- დირექტორის 2024 წლის 18 ივლისის N116 ბრძანება
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აღჭურვილია საინფორმაციო ტექნოლოგიებით. სკოლას აქვს 50 კომპიუტერი, 5 პროექტორი, 7 პრინტერი. სამუშაო პროცესში, კომპიუტერით უზრუნველყოფილია დირექციის და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სკოლაში დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირთათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიებზე მოსწავლეებისა და პერსონალისათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2024 წლის 18 ივლისის N114 ბრძნებით, სკოლაში დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow) - საშუალებით და მას ახორციელებს საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულ მუშაობას.

საქმისწარმოების წესში აღნიშნულია, რომ ბრძანებების რეგისტრაციის ნომერი მოიცავს ციფრთა ერთობლიობას, რომელიც აღნიშნავს სასწავლო წლის განმავლობაში გამოცემულ ბრძანებათა რიგობითობას. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ბრძანებების ნუმერაცია ხდება კალენდარული წლის და არა სასწავლო წლის შესაბამისად.

საქმისწარმოების წესში აღნიშნულია, რომ ბრძანებების აღრიცხვა უნდა უნდა განხორციელდეს შესაბამის ჟურნალში ინდექსების მიხედვით. განსაზღვრულია ორი ინდექსი. თუმცა ბრძანებების აღრიცხვა ხდება ერთ ჟურნალში ინდექსების დიფერენცირების გარეშე.

სკოლას მიეცა რჩევა - საქმისწარმოების წესში გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი; საქმისწარმოება შესაბამისობაში მოვიდეს დადგენილ წესთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სარგებლობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით - „eflow”; სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა - nasakirali@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool; იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს საკუთარი პროფილი eschool.emis.ge-ზე. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ასახული ინფორმაცია არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ვინაიდან სკოლის პირველადი ავტორიზაციაა, ინდიკატორი მიმდინარე ეტაპზე არ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წლის 18 ივლისის N114 ბრძანება
- Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ გვერდი და გვერდი სოციალურ ქსელში. ინფორმაციულად დატვირთულია სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook). გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი სასკოლო აქტივობების, სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა, სასკოლო კლუბების წარმატებისა და მიღწევების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომლის თანახმად, საზოგადოებასთან ურთიერთობა ემყარება გამჭვირვალობის, სამართლიანობის და საჯაროობის პრინციპებს. ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს ამ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია აწარმოოს კომუნიკაცია სკოლის შიგნით და მის გარეთ იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და გონივრულობა.

სკოლის დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრულია ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. როგორც ავღნიშნეთ, სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომლის თანახმად, საზოგადოებასთან ურთიერთობა ემყარება გამჭვირვალობის, სამართლიანობის და საჯაროობის პრინციპებს. ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ამ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, გონივრულ ვადაში.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის თანახმად, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით მიღებული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი.

სკოლამ წარმოადგინა გამოკითხვის ინსტრუმენტი (კითხვარი), რომლის საშუალებითაც მოხდა მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვა სკოლაში მიმდინარე სასწავლო და ორგანიზაციული პროცესების თაობაზე.

სკოლამ ასევე წარმოადგინა მშობელთა კრების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ მშობლების თანხმობით ხდება გადაწყვეტილებების მიღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საგაკვეთილო პროცესის ხანგრძლივობა, სკოლაში ვიზიტის დღის განსაზღვრა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. აქვს მოქმედი ვებ გვერდი - <https://rb.gy/ab4nxv> - რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული განვითარების გეგმა, სამოქმედო გეგმა. ვებ გვერდზე არ არის ასახული პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრალობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს ვებ გვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვას.

შესრულების ვადა - 30.12.2024

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი
- სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის თაობაზე ბრძანება
- სკოლის ვებ გვერდი
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ძირითადად ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსებით, მცირე შემოსავალს იღებს ეკონომიკური საქმიანობიდან. ფინანსურ შემოსავალს მიმართავს სკოლის საჭიროებისკენ. სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი იხარჯება დასაქმებულთა შრომით ანაზღაურებაზე, ასევე მატერიალური რესურსების შესყიდვაზე, საჭიროებების შესაბამისად ხდება ბიუჯეტის კორექტირება და შესაბამისი ცვლილების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს. სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების უზრუნველყოფა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესყიდვების წესი, შესყიდვების გეგმა. შექმნილია ბაზრისა და ბაზარზე არსებული ფასების გამოკვლევის მიზნით მუდმივმოქმედი კომისია. სკოლის დირექტორი დეკემბერში ანგარიშით წარდგება სამეურვეო საბჭოს წინაშე. კალენდარული წლის ბოლოს შედგენილია ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი
- ბაზრის კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია
- შესყიდვების წესი
- დირექტორის 2023 წლის 14 ნოემბრის N150 ბრძანება ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის თაობაზე

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს. მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება ნებისმიერ ეტაპზე, ნებისმიერი პირის მიერ. მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც ფორმდება სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის. სკოლაში არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ირჩევა დემოკრატიული პრინციპებით, თვითმმართველობის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, მოსწავლეთა პრობლემური თუ საინტერესო საკითხების განხილვა და აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის მმართველობითი ორგანოების ინფორმირება. კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა და მოსწავლის მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობა. მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტივობებში.

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმს. დოკუმენტში გაწერილია მოსწავლის და მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლებები, მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის შინაგანაწესი, რომელიც საჯარო დოკუმენტია, განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის. თითოეული კლასის დამრიგებელი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. სკოლაში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე, გამოკრულია 112-ის, სახალხო დამცველის და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლას აქვს გვერდი სოციალურ ქსელში (facebook), სადაც აქტიურად ზიარდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. ყველა კლასის დამრიგებელს აქვს მესინჯერ ჯგუფი, სადაც გაწევრიანებულნი არიან მშობლები და იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. სკოლის ყველა მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის ფორმდება ხელშეკრულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულება ძალაშია მოსწავლის სწავლის დასასრულამდე და მასში გაწერილია როგორც მოსწავლის, ისე მშობლის და სკოლის უფლებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- თვითმმართველობის დებულება
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა განსაზღვრული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.

შესაბამისობის გეგმასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის N158 ბრძანება „სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე“), რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ვინაიდან სკოლის პირველადი ავტორიზაციაა, მიმდინარე ეტაპზე ინდიკატორი არ ფასდება.
3. სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრულია სკოლაში საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ ადგილზე. სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი, რომელთა წესდების თანახმად, კლუბის წევრობა ნებაყოფლობითია. მიმდინარე

ეტაპზე, სკოლაში მოსწავლეებისთვის დამატებითი არასავალდებულო და სავალდებულო ხასიათის მომსახურება, (წრეები) არ ხორციელდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის დირექტორის ბრძანებით, ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მოადგილე, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება
- კლუბის წესდება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 ივლისის N123 ბრძანებით სკოლაში დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, სასკოლო მზაობას, კლასის დამრიგებლის და მშობლისა როლს. გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების ადაპტაცია. განსაზღვრულია დეზადაპტაციის ნიშნები და ამ პროცესის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ვინაიდან სკოლის პირველადი ავტორიზაციაა, მიმდინარე ეტაპზე ინდიკატორი არ ფასდება.
3. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის სემესტრული გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა, საშემოდგომო გამოცდის აუცილებლობის შემთხვევაში, მოსწავლეების კონსულტაციებით უზრუნველყოფა. შემაჯამებელი წელის აღდგენა შესაძლებელია სემესტრის დასრულებამდე. სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, სკოლა ქმნის ისე გზას, ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უწევს ადმინისტრირებას ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებას. ექსტერნის გამოცდებზე დარეგისტრირებულ პირთათვის, სკოლა ადგენს გამოცდების ჩატარების განრიგს, ქმნის საგამოცდო კომისიას და ინფორმაციას აწვდის მშობელს აღნიშნულის შესახებ დამრიგებლების მეშვეობით. სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, სკოლა ქმნის ისე ჯგუფს, ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

სკოლაში დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია უფლებამოსილი პირი, რომელმაც უნდა მოახდინოს იდენტიფიცირება და განახორციელოს რეფერალი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა აქტიურია არაფორმალური განათლების მიმართულებით, სკოლის პედაგოგთა ხელმძღვანელობით, მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივით, ფუნქციონირებს რამდენიმე კლუმი - სტემ კლუბი, მეწარმეთა კლუბი „დამწყები მეწარმეები“, მოგზაურთა კლუბი „თრეველი“, კითხვის კლუბი „მწიგნობარი“, უცხოური ენები კლუბი „მომავალი ლინგვისტები“, ეკო კლუბი „დედამიწა ჩვენი სახლია“, მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით და სკოლის მხარდაჭერით, წარმატებულად ხორციელდება სხვადასხვა პროექტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. როგორც ავღნიშნეთ, სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომლის თანახმად, საზოგადოებასთან ურთიერთობა ემყარება გამჭვირვალობის, სამართლიანობის და საჯაროობის პრინციპებს. ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ამ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, გონივრულ ვადაში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დაკომუნიკაციის წესის თანახმად, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით მიღებული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი.

სკოლამ წარმოადგინა გამოკითხვის ინსტრუმენტი (კითხვარი), რომლის საშუალებითაც მოხდა მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვა სკოლაში მიმდინარე სასწავლო და ორგანიზაციული პროცესების თაობაზე.

სკოლამ ასევე წარმოადგინა მშობელთა კრების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ მშობლების თანხმობით ხდება გადაწყვეტილებების მიღება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საგაკვეთილო პროცესის ხანგრძლივობა, სკოლაში ვიზიტის დღის განსაზღვრა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წლის 26 ივლისის N126 ბრძანება
- დირექტორის 2024 წლის 25 ივლისის N123 ბრძანება
- 20243-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- კლუბების წესდება
- კითხვარები
- მშობელთა კრების ოქმები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას 2019 წლიდან მემორანდუმი აქვს გაფორმებული ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯთან ჰორიზონტი“. მემორანდუმის ფარგლებში, კოლეჯი იღებს ვალდებულებას მოსწავლეებს და მათ მშობლებს გააცნოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. უზრუნველყოს მოსწავლეებში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და პროფესიული უნარების განვითარება. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურება - კომპიუტერული ტექნიკის უნარების განვითარება. სკოლამ წარმოადგინა ანგარიში, რომლის თანახმად, კურსის გავლის შედეგად, მოსწავლეებმა შეძლეს მარტივი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება (მაგ. „ვსწავლობთ თამაშით“, გრაფიკული რედაქტორი Paint, MS Word); გააცნობიერეს პირობითი ნიშნების საშუალებით ინფორმაციის გადაცემის პრინციპები; შეძლეს პირობითი ნიშნებით ბრძანებების გადაცემა და მიღებული ბრძანებების თანმიმდევრული მოსწავლეებს შეუძლიათ ვიზუალური პროგრამირების გარემოში მარტივი ალგორითმის შემუშავება.

სკოლამ წარმოდგინა განახლებული მემორანდუმის პროექტი (ცალმხრივად ხელმოწერილი), რომლის თანახმად, კოლეჯი იღებს პასუხისმგებლობას პროფესიული უნარების საორიენტაციო კურსის (კერვა, სტილისტი) განხორციელების მიზნით, უზრუნველყოს კურსის ორგანიზებას და სასწავლო პროცესის მხარდაჭერას.

სკოლაში ფუნქციონირებს მეწარმეთა კლუბი, რომლის მუშაობის გეგმა, მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა საკვების დამზადების ტექნოლოგიის გაცნობა, ბისერებზე მუშაობის ტექნოლოგიის გაცნობა, ქსოვისა და ქარგვის ტექნოლოგიების გაცნობა, მცენარეთა მოვლის წესების გაცნობა, რეალიზების წესების გაცნობა, ბიუჯეტის შემუშავება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის პირველადი ავტორიზაციაა და მიმდინარე ეტაპზე ინდიკატორი არ ფასდება.

3. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის თანახმად, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით მიღებული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლასა და ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯს ჰორიზონტი“ შორის გაფორმებული მემორანდუმი
- სკოლასა და ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯს ჰორიზონტი“ შორის გაფორმებული მემორანდუმის პროექტი
- დირექტორის 2024 წლის 26 ივლისის N126 ბრძანება

